



377/106-00
06.06.2022

შეტყობინება
სს „თიბისი ბანკის“ აქციონერთა
მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „თიბისი ბანკის“ (შემდგომში - „ბანკი“) აქციონერთა მორიგი საერთო კრება გაიმართება 2022 წლის 27 ივნისს ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის 7-ში (ს/ი 0102), თიბისი ბანკის სათავო ოფისში 12:00 -ზე.

აქციონერთა მორიგი საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა აქციონერს, რომელიც 2022 წლის 16 ივნისის 18:00 საათის მონაცემებით („სააღრიცხვო დღე“) წარმოადგენს ბანკის აქციონერს და რომელსაც შეუზღუდავი უფლება გააჩნია ისარგებლოს აქციის ფლობით მინიჭებული ხმის მიცემის უფლებამოსილებით. კენჭისყრა გაიმართება არაელექტრონული ფორმით, საერთო კრებაზე უშუალოდ დასწრებით და თანდართული ხმის მიცემის ბარათის მეშვეობით

პატივისცემით,

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი

თიბისი ბანკის აქციონერთა
საერთო კრების
დღის წესრიგი

კრების ჩატარების დრო და ადგილი: 2022 წლის 27 ივნისი, ქალაქი თბილისი, მარჯანიშვილის 7, თიბისი ბანკის სალთაო ოფისი, 12:00 საათზე.

კრების სააღრიცხვო თარიღი: 16 ივნისი, 2022 წელი

აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგი: :

1. კონსოლიდირებული, აუდიტირებული, წლიური ფინანსური ანგარიშის დამტკიცება
საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, აქციონერთა კრებას დასამტკიცებლად წარედგინება 2021 წლის თიბისი ბანკის კონსოლიდირებული, აუდიტირებული ფინანსური ანგარიში. აღნიშნული ფინანსური ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/annual-reports
2. 2021 წლის აუდიტის ანგარიშის დამტკიცება
ბანკის აუდიტის (PricewaterhouseCoopers LLP-ის მიერ მომზადებული და დამოწმებული) ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/annual-reports
3. აუდიტორის დანიშვნა;
აუდიტის კომიტეტის მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა აუდიტორული კომპანია PricewaterhouseCoopers LLP-ის დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მის მიერ აუდიტის ჩატარების პროცესის ეფექტურობის შეფასება, რის შემდეგაც, აუდიტის

კომიტეტმა სამეთვალყურეო საბჭოს მისცა რეკომენდაცია, 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის PricewaterhouseCoopers LLP-ის ბანკის აუდიტორად დანიშვნის შესახებ.

თიბისი ბანკის აქციონერთა მორიგ კრებას დასამტკიცებლად წარდგინება ბანკის აუდიტორად PricewaterhouseCoopers LLP-ის დანიშვნის შესახებ წინადადება.

4. 2021 წლის დივიდენდის განაწილება

აქციონერთა მორიგ საერთო კრებას წარედგინება დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაცია თიბისი ბანკის აქციონერების 2021 წლის კუთვნილი წმინდა მოგებიდან, დივიდენდის სახით ერთ ჩეულეზრებრივ აქციაზე GEL2.2611 ლარის (გადასახადების ჩათვლით) გაცემა, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს 2022 წლის 8 ივლისს, ამავე წლის 16 ივნისს თბილისის დროით 18:00 საათის მდგომარეობით აქციათა რეესტრში რეგისტრირებული აქციონერებისათვის.

5. სს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის მოწონება

აქციონერთა მორიგ საერთო კრებას წარედგინება თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ანგარიში რომელიც მოცემულია თიბისი ბანკის „მმართველობით და ფინანსურ ანგარიშგების“ დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
<https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/annual-reports>

6. სს „თიბისი ბანკის“ დირექტორთა საბჭოს საქმიანობის მოწონება

აქციონერთა მორიგ საერთო კრებას წარედგინება თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს საქმიანობის ანგარიში რომელიც მოცემულია თიბისი ბანკის „მმართველობით და ფინანსურ ანგარიშგების“ დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
<https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/annual-reports>

სს „თიბისი ბანკის“
აქციონერთა მორიგი საერთო კრების
ხმის მიცემის ბარათი

აქციონერის სახელი და იურიდიული მისამართი

განსახილველის საკითხი	დიახ	არა	თავი შეიკავა
1. დამტკიცდეს წლიური ანგარიში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. დამტკიცდეს აუდიტის ანგარიში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. PricewaterhouseCoopers LLP-ის ხელახალი დანიშვნა აუდიტორად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. 2021 წლის დივიდენდის განაწილება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის მოწონება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს საქმიანობის მოწონება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>